სამშობლო

კვირა,
14 თებერვალი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. ფოს-ტებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 286 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 286

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის
ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ-

„სამშობლო“-ზე

ქ. ქუთაისი. წელიწადი მეორე. ქ. ქუთაისი.

გაზეთი გამოვა
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.

ნინო ჩხეიძის გასტროლები.

წარმოდგენა № 54

ლაქი ქუთაისი. „ქართული დრამა“ ქალაქის თეატრი.

დღეს, კვირას 14 თებერვალს, 1916 წელს გაიმართება ნინო ჩხეიძის
მონაწილეობით

ღალატი

5 მოქ.

ავტორები—მეტერლინგი, სუმბათაშვილი.

ონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ ანდრ ნიკაშვილი ელო, ბეჟანიშვილი სუზანა, კავ-
ლი ან., მდივანი მარო, მესხი ეფემია, ლოლობერიძე ოლიმპიადა. ბ.ბ. ბარველი
ნო გვარამე ნიკო, დადიანი შალვა, კორიშელი პლატონ, მურუსიძე ანდრო,
ლი ლადო, ყალაბეგიშვილი სანდრო, ჩაგუნავა ნიკო, ჩხიკვაძე ვარლამ, ხონელი შალვა.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი საღამოს 8 ს.

ისორი შ. დადიანი. ადმინისტრაცია „ქართ. დრამ.“ ამხ.-სა.

ონსი: მზადდება საყველიერო რეპერტუარი: შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“, ერისთავ-ხოშტარიას რომანიდან გადმოკეთებული „ბედის ტრიალი“ შალვა დადიანი ბენეფისი და „კაბარე-მიმოხილვა.

იბეჭდება და მალე გამოვა ალმანახი

„ცისფერი ყანწები“.

ნაარსი: 1. პაოლო იაშვილი: პირველთქმა—ლიტერატურული მანიფესტი.
2. პოეზია გრ. რობაქიძე, ი. გრიშაშვილი.
ელენე დარიანი, გ. ტაბიძე.
ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი.
ი. ყიფიანი და პ. იაშვილი.
ქუჩბაძე—ნაწყვეტი რომანიდან, ნ. ლორთქიფანიძე—ზღაპარი, ალ. ცირეკიძე —მინიატიურა, ლელი ჯაფარიძე—თავისუფალი ლექსი
ღესასწაულზე“, აკაკი ფალავა—„თეატრი“.
3. კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, შენიშვნები.
ყდა ლადო ჯაფარიძისა.

ოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი საგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოება

„რუსეთი“ („როსსია“),

ც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევისაგან. რადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან შუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს ნტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალა- ს მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა.

აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ორშაბათიდან, 15 თებერვლიდან ახალი პროგრამა

საუცხოვო კუთხეები ალჟირისა.

ხაშხაშით მთვრალი.

ძლიერი დრამა 7 ნაწილად.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ორშაბათიდან, 15 თებერვლიდან ახალი პროგრამა

უკანონოთ შობილი.

ძლიერი დრამა 4 ნაწილად, მონაწილეობს ცნობილი მსახიობი ქალი

ვ. გ. ორლოვისა.

განცხადება.

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ თანახმად 1915 წლის 22 ნოემბრის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა 1 თებერვლიდან 1916 წლ., ომის დასრულებამდი შემოღებულია ბაჟი თეატრებსა კინემატოგრაფებსა და ყველა გასართობ საღამოზე შესასვლელ ბილეთებზე შემდეგის სახით:

ორი შაურიდან ათ შაურამდე ღირებულ ბილეთებზე—2 შაური; ათი შაურ.—1 მან.—1 აბაზი.

შემოსული ბაჟის $2/3$ გადაიდება ხაზინის სასარგებლოთ, ხოლო $1/3$ დედოფალ მარიამის უწყებაში მყოფ დაწესებულებათა სასარგებლოთ. ამატომ ამ ბაჟების მახედვით, 1 თებერვლიდან 1916 წლის ელექტრო-თეატრ „რადიუმსა“ და „ამპირში“ შესასვლელ ბილეთებზე დაწესებული იქნება შემდეგი ფასი: ლოჟა 17 შაური; 1 ადგილი 15 შური; 2 ადგილი 10 შაური; მესამე ადგილი 6 შაური; მოწაფეთათვის მეორე ადგილი 6 შაური; ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 1 აბაზი.

---

20 თებერვალს ასოთ-ამწყობ პ. მიქაძის რედაქტორობით ქ. ქუთაისში გამოვა ლიტერატურული ალმანახი.

„ახალი ცისკარი.“

ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით. ალმანახში მოთავსებული იქნება შიო მღვიმელის სურათი და მისი ლიტერატურული მოღვაწეობის მოკლე განხილვა. მასალები მიიღება გაზ. „სამშობლოს“ რედაქციაში ლადო მაჭავარიანთან.

33 ალმანახი იქნება 16 გვ. და ეღირება 10 კ. 8—7

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირის გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტ-

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს.

გოსპიტალის ქუჩა, № 6. თ.

ექიმი ი. ჩარიძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლვოვშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.

ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი ა. მ. ახათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალთურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა დ. ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი მ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ბორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.

თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

ბებია მ. მ. ქოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. ოფიციალ. ცნობა. რიგის რაიონში დ დვინოგერ-პრომპტინპფში გერმანელთა ჰაეროპლანები დათარეშობენ და ყუმბარებს ჰყრიან. ოგერის რაიონში ღამით გერმანელებმა სასტიკი სროლა ასტეხეს, თანაც მზვერავი რაზმები გამოუშვეს თეთრი ჩადრებით, მაგრამ რუსებმა უკან გარეკეს. დვინსკის პოზიციებზე პონევეჟის რაიონში, ჩარტორისკის ჩრდილოეთით, რუსებმა უკან დაახევინეს მტერს და წინ წაიწიეს. პილცეს რაიონში, ოლიკის სამხრეთ-დასავლეთით, მტერს საშიშ ადგილებში ქალები გამოჰყავს პოზიციებზე. ჰფიქრობენ, ესენი რუსი ქალები უნდა იყვნენო. ტარნოპოლის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში, სოფ. გლიადკისთან და ვორობიევკასთან რუსებმა ნაღმი ააფეთქეს და კიდეც დაიჭირეს აფეთქებული ადგილი. ამ ადგილის დასაბრუნებლად მტერი ყუმბარებს ისროდა, თანაც ერთგვარი ტყვია დაუშინა, რომელიც პროპელერის მზგავს ხმაურობას აყენებდა. მიხალჩესთან მტერი სცდილობდა დაკარგულ თხრილის დაბრუნებას, შიგ ცრემლის მდენ ყუმბარებს ისროდა, მაგრამ ვერას გახდა.

შავი ზღვა. რუსთა წყალქვეშა ნავი ბოსფორთან გაჩნდა. მტერმა ორჯელ იერიში მიიტანა მაზე, მაგრამ მაინც ვერ დაღუპა. წყალქვეშამ დაღუპა ოსმალთა ხომალდი, რომელიც ნახშირით იყო დატვირთული.

კავკასიის ასპარეზი. რუსები განაგრძობენ ოსმალთა დევნას.

რუსის ჯარებმა ბრძოლით აიღეს ქალაქ ისპირი. მტრის დევნა არზრუმის და ხნისკომის რაიონებში გძელდება. სპარსეთში რუსის ჯარი მტერს სასტიკად ამარცხებს. დაიკავეს ქალაქ სახნე. ამ ბრძოლის დროს რუსებმა ხელთ იგდეს ოთხი ზარბაზანი. რუსის თეირანის სამხრეთით ჯარები შევიდნენ ქალაქ ქაშანში.

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუმინეთის პარლამენტის დადგენილება.

5 თებერვალს რუმინეთის პარლამენტმა საჩქარო კანონპროექტი მიიღო, რომელთაც რუმინეთის საზღვრებიდან ხორბლეულის, მწვანილის და სელის ზეთის გატანა სრულიად აეკრძალა.

ბრძოლის ველზე.

გაზეთ „ბირჟევია ვედომოსტი“-ს გადმოცემით გერმანელებმა გალიციის ფრონტზე მთელი თავისი გვარდია გამოგზავნეს და აგრეთვე 12 დიუმიანი ზარბაზნებიც; მალე უფრო მძიმე ზარბაზნების დადგმასაც შეუდგებიან. სამხედრო რუსეთის ფრონტზე ავსტრია-გერმანიის პოზიციების სანგრები შემდეგ ნაირათ არის მოწყობილი. თხრილებში და გვირაბებში ყველგან მკვიდრი „ბლინდაჟები“ აქვთ მოწყობილი; აქვთ აგრეთვე ტელეფონები; გაწყობილია ტყვიის მფრქვეველების დასადგამი მოედნები და გამართულია „მონომეტები“. ამასთან ზედმიწევნით მოწყობილი აქვთ სამხედრო მასალის მოწინავე დროზე პოზიციებზე დროზე მოწოდების საქმე. ცალ-ცალკე ბატარეები ერთჯგუფათ არის შეკავშირებული და ყველა ჯგუფები კიდევ ავტომატიური ნიშან მიმცემი აპარატით არის გადაბმული. ასე რომ საჭიროების დროს არა თუ სხვა და სხვა მიზანს ესვრიან ყველა ბატარეებიდან, არამედ, თუ საჭიროება მოითხოვს, ყველა ბატარეებიდან ნიშან მიმცემის აპარატის მეოხებით ერთ პუნქტს შეუძლიათ დაუშინონ ყუმბარები და ამნა-

131

ირთ ერთ ადგილას უშრეტი ჯოჯოხეთური ცეცხლი დაინთონ.

სალონიკში.

ადისიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ გაზეთის „დიმინანზას" ცნობით სალონიკის ქალაქს თავი ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლებმა დაატუსაღეს.

გალიციის ფრონტზე.

პეტროგრადიდან დეპეშით იუწყებიან: მტერი განსაკუთრებით ამაგრებს გალიჩს, რომლის ფორტები რუსის ჯარმა პირველ შესვლის დროს გაანადგურა. ახლა ამ ფორტებს ისევ ანახლებენ და წინანდელთან შედარებით კიდევ უფრო უკეთ ამაგრებენ: ყველგან მძიმე არტილერიას სდგამენ. სამხრეთით მდ. დნესტრამდე და ჩრდილოეთით „გნილაია ლიპამდე" ერთმეორეზე გადაბმული ნაწყვეტი ხაზია სიმაგრეებისა და ისიც რამდენიმე რიგათ გერმანელებმა, რომლებიც მდ. დნესტრის ნაპირებზე არიან გამაგრებული შეიარაღეს და ძალზე გაამაგრეს აგრეთვე ქალაქის ისტორიული მთა

გადმოხვეწილთა აღწერა.

ტატიანის კომიტეტთან დ არსებული განსაკუთრებულ განყოფილებას აზრათ აქვს პეტროგადში გადმოხვეწილთა ერთდროული აღწერა მოახდინოს.

კანადიდან ევროპაში.

ერთი ინგლისური გაზეთის ცნობით ინგლისმა გემთა განსაკუთრებული ფლოტი გამოაწყო (40 გემი) იმ მიზნით, რომ კანადაში დამზადებული სამხედრო მასალა ევროპაში გადაზიდოს. ამ გაზეთის ანგარიშით წელს ევროპაში შეიძლება კანადიდან 12 მილიონი ტონი სამხედრო მასალა გადაზიდონ.

მთაშაველებსა და ალბანელებ შორის შეტაკება.

როგორც „ტაიმსის" კორესპონდენტი იუწყება პოდგორიცაში მთაშაველები შეებნენ ალბანელებს. შედეგი ჯერ არ იციან.

გერმანიის დაპირება.

ბუქარესტიდან იუწყებიან: „ნაციონალს" სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ გერმანია ბულგარეთ სალონიკს და დობრუჯას მხარეს შეპირდა: გამარჯვების შემდეგ შენ გადმოგცემო. დობრუჯის მხარე 1812 წლის შემდეგ რუმინეთის ხელშია გადასული.

ალბანეთში.

ავსტრიის გენერლის, კვეშის ჯარები ალბანეთში არზენის იქეთ გადადიან და ახლა იქ შეჩერდენ, რადგან მაშველ ჯარს ელიან. როგორც ბერლინის გაზეთებიდან სჩანს ავსტრიისა და ბულგარეთის ჯარები ძალიან ნელა ნაბიჯით მიიწევენ წინ ალბანეთში მიზეზი საშინელი უგზოობაა.

პრუსიის ლანდტაგში.

პრუსიის ლანდტაგში საათნახევარი ილაპარაკა სოც. დემოკ. გოფერმა, რომლის სიტყვა საბრალმდებლო ოქმს წარმოადგენდა მთავრობისა და მემამულეების წინააღმდეგ. ორატორის სიტყვით მემამულეები ინგლისელების უფრო მეგობრები არიან ვიდრე მტრები. გოფერმა მოითხოვა, რომ მთავრობამ ყოველნაირი ზომა მიიღოს სანოვაგის გასაიაფებლათ ამასთანავე მოითხოვს, რომ პოლონეთში პოლონელებსაც იმდენი პურის წილი მიეცეთ, რამდენსაც გერმანელთ აძლევენ. დასასრულ ორატორმა მუქარით განაცხადა. „მუშები თქვენს შინაურ მორიგების ხელშეკრულებას მალე ნაფლეთებათ აქცევენ, თუ სასურსათო პოლიტიკას არ შეცვლით; ხალხი ღიმილს მაინც მიხვდება, თუ მისი ნამდვილი მტერი ვინაა".

ციმერვალდის რეზოლიუციისათვის.

მილანის (იტალიაში) სასამართლოში დანიშნულია გასარჩევად საქმე, რომელიც რამდენიმე სოციალისტს ეხება. ამათ ციმერვალდის რეზოლიუციის გავრცელებას აბრალებენ. რეზოლიუცია ზავის მოთხოვას შეეხება.

ქრონიკა

რუსეთი.

სახელ. სათათბიროს გარშემო.

— პრემიერის, შტიურმერის გამოსვლის და მისი დეკლარაციის შესახებ დეპუტატები ამბობენ: მემარჯვენეების ლიდერი მარკოვი: შტიურმერმა მოკლე, მაგრამ კეთილსურვილებით გამსჭვალული, დარბაისლური სიტყვა წარმოთქვა....

ბობრინსკი კი ამბობს, რომ შტიურმერმა არაფერი არ სთქვაო.

როსტოვცევი იმ აზრისაა, რომ რაც იყო, იგივე დარჩაო.

ნეკრასოვი შენიშნავს: შტიურმერი გორემიკინზე ოდნავ უკეთესია.

დეპუტატი ბუბლიკოვი მთავრობის დეკლარაციას იას დიდის წყვდიადს ადარებს და ამბობს: მთავრობის დეკლარაცია ბნელ ღამეზე კიდევ უფრო ბნელიაო.

ვორონკოვი აშკარად ამბობს: ეს სულ სიტყვებია... დარწმუნებული ვართ, რომ ორიკვირის შემდეგ უთუოდ დაგვითხოვენ.....

კადეტი შინგარევი აცხადებს: სიტყვებზე აწ ველარ ვენდობით, დე მთავრობამ საქმით დაამტკიცოს, რომ მას სათათბიროსთან ერთად მუშაობის სურვილი აქვს.

— შტიურმერის დეკლარაციის გამო „რუსკაია ვედომოსტი" სწერს:

„შტიურმერის მიერ გაბმულ კილოზე და წყნარათ წაკითხულმა დეკლარაციამ მეტად სუსტი შთაბეჭდილება მოახდინა. დეპუტატები მეტათ გულგრილათ უსმენდენ მას. მემარჯვენეებსაც კი არ დაუკრავთ მისთვის ტაში. ცენტრმა და ოპოზიციამ ხომ თავშეკავებული სიტყვით დააჯილდოვა ის. სულ სხვანაირათ შეხვდენ სამხედრო მინისტრის, პოლივანოვის გრიგოროვიჩის და საზონოვის სიტყვებს. მაგრამ ამ ერთივე ბედი ხვდა წილათ პროგრესისტთა ბლოკის წარმომადგენელს შიდლოვსკის.

— ხელმწიფე იმპერატორის სათათბიროში მობრძანებით „ნოვოე ვრემია" აღტაცებაშია მოსული და 9 თებერვალს ისტორიულ დღეთ სახავს, ვინაიდან ამ დღეს დამტკიცდა, რომ თვითმპყრობელების ხალხთან დაახლოვება ეს რუსის მონარქების განსაკუთრებული მიდრეკილებაა.

არა ნაკლებ აღტაცებაშია მოსული ამ ფაქტით გაზეთი „ბირჟევია ვედომოსტი", რომელიც სწერს:

„9 თებერვალმა ბოლო უნდა მოუღოს სახელ. სათათბიროს წინააღმდეგ ამხედრებას. რუსეთის მონარქმა თავისი მობრძანებით ცხადჰყო, თუ რაოდენი მნიშვნელობა აქვს სახალხო წარმომადგენლობას. ხელმწიფემ თავისი სიტყვით გვამცნო, რომ რუსეთის ხსნა სახელ. სათათბიროსთან ერთად მუშაობაშია.

მთავრობის განკარგულება.

ფინანსთა მინისტრის განკარგულებით ნება დართულია რუსეთში შემოიტანონ საზღვარ გარეთიდან და ფინლიანდიიდან ასანთი—სპიჩკა სულ 7000 მილ. კოლოფი, ხოლო რუსეთიდან ასეთი ასანთის გატანა აკრძალეს.

ქ. ქუთაისი, 14 თებერვალი.

ჩვენში მოდებულია სულ მაღალ-მაღალ საგნებზე წერა და ლაპარაკი.

თითოეული მოღვაწე და არამოღვაწე ცდილობს ხალხს, საზოგადოებას მკითხველსა თუ მსმენელს თავი დიდ განათლებულათ მოაჩვენოს და მაღალ ფარდოვან სიტყვა-პასუხს ეტრფის და ელამუნება.

შეიძლება ასეთი საქციელი დიდად მოსაწონი და ჭკუის სასწავლებელიც იყოს, მაგრამ როცა ადამიანს სახლში ხმელი პურიც კი არა აქვს, მაშინ ევროპიულ, ძვირფასს საჭმელებზე ლაპარაკი სასაცილო თუ არა, ტყუილა დროს დაკარგვა მაინც იქნება.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენ, ქართველები, უკვე ვეზიარეთ ევროპის განათლებას, უკვე შევსდექით საერთაშორისო სოლიდარობის გზაზე და ძველებურ, ქართველურ კარჩაკეტილობას თავი დავაღწიეთ, მაგრამ შინ, ჩვენს ერთგვარ ოჯახში, ჯერ ისეთი მოუწყობელნი ვართ, რომ „მაღალ მატერიებზე" წერა და ლაპარაკი მხოლოდ სასიკვდილოდ განწირულ სნეულის ფარჩის საბანს მოგვაგონებს...

ვინ იტყვის, რომ თვალ-წარმტაცი და ავადმყოფის დამამშვენებელი არ იყოს ეს ფარჩის საბანი, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ სნეულისათვის უფრო ხელსაყრელია ის წამალი, რომელმაც იგი უნდა გამკურნოს.

საქართველო, თუ გნებავთ, უკვე დადგა მორჩენის გზაზე, მას აღარც სძინავს, მაგრამ ჯერ კიდევ ესაჭიროება ჯან-ღონისა და ყუათის მიმცემი წამალი.

ასეთი წამალი კი არის შინაურ ურთიერთობის მოწესრიგება, შინაურ ძალთა შეკავშირება, ქართველობის უმრავლესობის განსწავლა და გამოფხიზლება...

ეს ისეთი საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ გვეხათრება კიდეც ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, თუ სულქვეშ ვიტყვით და მორცხვობას თავს დავანებებთ, არ შეგვიძლია ერთხელ კიდევ არ აღვიაროთ ეს უბირი ჭეშმარიტება...

საერთაშორისო საკითხები, კოსმოპოლიტური აზროვნება, სოციალისტური გულის-თქმა, მსოფლიო კონგრესები, დამყარება ქვეყნად ცხოვრების ისეთი წესისა, რომ თხა და მგელი ერთად ძოვდენ—ეს ყველა ისეთი უმაღლესი და უძვირფასი მადლია, რომ მხოლოდ [illegible] ვერ დააფასებს მას. მაგრამ ამ მადლის შეგნებას, შეთვისებას, დამყარებას, განხორციელებას,—ჭირია მასის გათვითცნობიერება, სჭირია თავისუფალი ასპარეზი თავისუფალ მოქმედებისათვის.

ჩვენ, ქართველებს კი, ჯერ წყვდიადი გვფარავს და ულაჯობა სულს გვიხუთავს.

ქართველებში ჩვენ აქ ვგულისხმობთ გლეხობას, მშრომელთა უმრავლესობას.

იმ დროს, როდესაც ზოგიერთ ქართველს ცხრა ენაზე შეუძლია ლაპარაკი და განვითარება, გლეხობაში ასში ოთხმოცდა ათი უანბანოა და მისთვის „მზეც კი არ ანათებს". მაშასადამე, ჩვენი პირველი მოვალეობაა ამ უმრავლესობას გონების თვალი ავუხილოთ და ჯერ წერა-კითხვა ვასწავლოთ...

იმ დროს, როდესაც ჩვენებური განსწავლული და ბრძოლაში გაწვრთნილი ჯგუფები, თუ „მიმართულებანი" თავის გაზეთებით ევროპასაც კი ჭკუას ასწავლიან ტ ველჰელმ—ვილსონ—პუანკარე—ვანდერველდე-ბრიან—პლეხანოვ—პეშეხონოვს მოქმედება-აზროვნებას უწუნებენ, სოფლად, ჩვენი გლეხობის უმრავლესობამ არც კი იცის არსებობენ ქვეყანათ ეს ხალხნი, თუ არა!

იმათ მხოლოდ ის იციან, რომ უნდა გალონ ყოველგვარი გად[illegible] ბრძოლის ველზე თა[illegible] იტირონ მათი ტყვიისაგან გაცივებული გვამები და ღმერთს მადლიც შესწირონ, რომ თვითონ მაინც შერჩენიათ გაძლებული სული!...

ახლა თქვენ გკითხავთ—რა უფრო ესაჭიროება ასეთ ხალხს? როგორ და რა გზით უნდა ჩავაგდოთ გულის ხმაში, ვინ უნდა იყოს მათი პატრონი?...)

ჩვენ ჟურნალ გაზეთებსა და მქადაგებლებს რომ ყური დაუგდოთ, ცამდე ხელის მიწვდომას ერთი ციდა ღა გვიკლია, მაგრამ, ჩვენ თუ სოფელს გადახედავთ, დაინახავთ, რომ იქ უკუნეთი გამეფებულა და რომელიმე „მოსე მწერალი" ან კარაპეტა, თუ პოლოსა წურბელასავით ჩასციებია სოფელს და სისხლსა სწუწნის...

ჩვენ სანფარებს რომ ჰკითხოთ საქართველო მხოლოდ მათ უგდებს ყურს და ისევე აზროვნებს. როგორც, მაგალითად, ა. ჯ—შვილი ან თევდორე ღლონტი, მაგრამ ქართველთა უმრავლესობა კი იმდენათ არის დამცირებული, რომ ერთ მათრახიან იასაულს შეუძლია ყველა ცხოვრებითურთ დაილალოს და სატუსაღოში გაგზავნოს.

ახლა თქვენ კიდევ გკითხავთ—რა უფრო ესაჭიროება ჩვენ ხალხს?

სანფარები უეჭველია მიპასუხებენ: —სოციალიზმიო.

მათ ჩვენებური ესდეკები გამოედავებიან და დაიწყებენ მტკიცებას—ქვეყნის მხსნელი ინტერ ნაციონალიზმიაო. გადაჰკრით ვერას გეტყვით!

მე კი ჩემის მხრით, როგორც პატარა და უბირ კაცს ასე მგონია, რომ ის საშუალება, რომელიც დღევანდელ ჩვენ გაზეთში დაბეჭდილ მცირე, მაგრამ მრავალმეტყველ წერილშია აღნიშნული, (წაიკ. წერილი „ქართველ ახალგაზრდობას.") უფრო ბევრ სარგებლობას მოუტანს ჩვენ გლეხობასა და სოფელს, ვიდრე ჩვენი ჯგუფების ერთად აღებული ორომტრიალი!..

კიდევ დაბა ხაშურში

მომხდარ ინციდენტის გამო.

12 თებერვალს ქუთაისში ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნ. საგუბ. მარშალთან ჩამოვიდა ხაშურის საზოგადოების ორი წარმომადგენელი. ამათ უამბეს თ. დ. ნიჟარაძეს დაწვრილებით ის სამწუხარო ამბავი, რომელიც მოხდა 5 თებერვალს დაბა ხაშურში.

მე, ამ სტრიქონების დამწერმა, შემთხვევით ვინახულე ის საჩივრის ქაღალდი, რომელზედაც 50 მეტ ხაშურელს ხელი მოეწერა.

სოციალური უტოპიები.

(წერილი მეშვიდე).

ოუენისა, ფურიესი და სენსიმონის სოციალიზმს კარლ მარქსი უტოპიას უწოდებდა, თავის სოციალიზმს კი—მეცნიერულს.

ცხადია, ცალმხრივი კრიტიკაა, რადგან, ჯერ ერთი, ხსენებულ მწერალთა დიდ მეცნიერულ ღვაწლსთვით მარქსი აღიარებდა, და მეორე, სოციალიზმს მათ ჩაუყარეს საფუძველი, მარქსმა კი მხოლოდ კედელი აიშენა.

მაგრამ, რადგან თანამედროვე სოციალიზმი მარქსიზმზეა დაფუძნებული, ამიტომ ჩვენ მხოლოდ მარქსისტულ სოციალიზმს განვიხილავთ.

მარქსზე, როგორც მის წინამორბედ სოციალისტებზე, მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვე, კაპიტალისტური წესწყობილების უარყოფითმა მხარემ. პიროვნება ეკონომიური მოუწყობლობის სხვერპლია. ეკონომიური ცხოვრება ულმობელი ბრძოლაა ყველასი ყველას წინააღმდეგ. ერთი მხრით იბრძვიან ერთმანეთის წინააღმდეგ კაპიტალისტთა, მემამულეთა და უსაკუთრო მუშათა, ანუ პროლეტართა, კლასები, მეორე მხრით კი კერძო პიროვნებანი თითოეული კლასის შიგნით. ადამიანის სიცოცხლე აბობოქრებულ ზღვასთან ბრძოლას წარმოადგენს და მისი კეთილდღეობა უბრალო შემთხვევაზეა დამოკიდებული.

ვინც სოციალური კიბის უმაღლეს საფეხურზე აცოცებულა, ხშირად მას თავისი მდგომარეობა არა თუ არაფრით არ დაუმსახურებია, არამედ მხოლოდ გაიძვერობითა და ცბიერობით გაუკვლევია გზა ბედნიერებისაკენ. ხალხის უმეტესობა კი უკიდურეს სიღარიბეშია ჩავარდნილი.

ამგვარი მდგომარეობა წარმოშობს ორ უკიდურესობას. ერთი მხრით მდიდრები იხრწნებიან და ილუპებიან ნებიერი ცხოვრებისა, უსაქმურობისა და გარყვნილობისაგან, მეორე მხრით პროლეტარებიც გადაგვარების გზას ადგიან შიმშილ-სიცივისა, ათასგვარი გაჭირვებისა და გარყვნილობისაგან.

ასეთი საშინელი სურათი ეხატება თვალწინ მარქსს, როდესაც იკვლევს კაპიტალისტური წესწყობილების კანონებს და ამიტომ კვლევის დროს ხშირად ჰკარგავს სულიერ წონასწორობას, რომელიც აუცილებელია პირუთვნელი მეცნიერისათვის.

მაგრამ რით უნდა ინუგეშოს თავი მაინც ვინც დღევანდელ ცხოვრებაში ბოროტების მეტს ვერაფერს ხედავს? როგორც წინა წერილებში ვამბობდით, ზოგიერთი ამგვარი პესიმისტი მხოლოდ სქესობრივ-ინსტინქტის დაკმაყოფილებაში ეძიებს ხსნას, ზოგი მთლად გაურბის ცხოვრებას სალოსივით, ზოგს მარტო თავისი თავის გაღმერთება აკმაყოფილებს და სხ.

მარქსი კი ცდილობს დაამშვიდოს თავისი სული ერთგვარი ფილოსოფიური ფატალიზმით. ის ამბობს: ყოველგვარი სოციალური წესწყობილება შეურყეველ სოციალურ კანონებს ემორჩილება და ყველაფერი, რაც არის, უთუოდ უნდა ყოფილიყო, რადგან თითოეული პიროვნების აზრი და მოქმედება საზოგადო მიმდინარეობას ემორჩილება და თან მისდევს. და ამ მიმდინარეობის შეჩერება არავის არ ძალუძს. და, თუ საზოგადოებამ მისი კანონები შეიგნო, შეუძლია მხოლოდ ააჩქაროს პროცესი იმ პირობით კი, თუ კალაპოტის შეცვლისა და მაშასადამე შეუძლებელის განხორციელებას არ მოინდომებს.

ამგვარი [illegible] ფილოსოფიური კმაყოფილებას გვანიჭებს. მართლაც! რაც უნდა დიდი იყოს ხალხის უბედურება, თუ კი იგი აუცილებელია და შეურყეველ კანონებს ემორჩილება, ე. ი. თუ კი ასეთია კაცობრიობის ბედისწერა, ფატუმი, მეტი არა დაგვრჩენია-რა, ფილოსოფიური სიმშვიდით უნდა ვუმზიროთ ცოდვილ ცხოვრებას მით უფრო, რომ მისი კანონების მეცნიერული კვლევა-ძიება უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს.

მაგრამ ეს ხომ ერთგვარი მეცნიერული სალოსობა იქნებოდა, რომელსაც ასე უფრთხიან სოციალისტები!

თითოეული ჩვენგანის მოვალეობა და დანიშნულება ის არის, რომ ჩვენი მოქმედება სოციალურ კანონებს შევუფარდოთ. და, თუმცა ჩვენ არ ძალგვიძს შევუცვალოთ გზა ისტორიული მოძრაობის კალაპოტს, მაგრამ, თუ ამ კალაპოტის მიმართულებას წარმოვიდგენთ და ვიხილავთ, შეგვიძლია ავაჩქაროთ ისტორიული ჩარხის ტრიალი და საბოლოო სოციალურ მიზანს შედარებით უფრო ადრე მივაღწიოთ.

ამავე დროს მარქსის აზრით პიროვნების უვლებრივი, ზნეობრივი და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა—გარესკნელზე, ე. ი. გარეგანს, ობიექტიურ საწარმოო წესზეა დამოკიდებული.

მაშასადამე, საწარმოო წესი იცვლება და პიროვნების მსოფლმხედველობის ცვლილების, ან ევოლუციის, მიზეზს სწორედ ეს უდევს საფუძვლად.

ისტორიული ჩარხის ტრიალი ბრმა მექანიკურ ძალას ემორჩილება, რომლის ბიძგიც პიროვნებასა თავქვე მიაქანებს, როგორც მდინარე უბრალო ნავს, და, თუმცა ნავს საკუთარი მოძრაობის უნარიც აქვს, მაგრამ ისე სუსტი, რომ არც გაჩერება და არც ელმა, ისტორიული მიმდინარეობის წინააღმდეგ, სვლა არ შეუძლია.

ამგვარად პიროვნება [illegible] მექანიკური ტრიალის სხვერპლია, საკუთარი მოძრაობის ნიჭს თითქმის მოკლებულია და იძულებულია ის მიმართულება აირჩიოს, საითკენაც მას გარეგანი ძალა მიაქანებს.

მეორე მხრით შეგნებული პიროვნება უდიდეს ზნეობრივ სიამოვნებას განიცდის, ჯერ ერთი, მით, რომ შეგნებული აქვს ისტორიის მიმართულება და მაშასადამე თავისი საკუთარი დანიშნულება, და, მეორე, მით, რომ წინდაწინვე სჭვრეტს, უფრო-და-უფრო რომ უახლოვდება სოციალურ მიზანს, იდეალს, რომლისკენაც მას ისტორია მიაქანებს.

როგორია ეს იდეალი? ეს—სოციალიზმი, ე. ი. წარმოებისა და განაწილების სახელმწიფოს მიერ მოწესრიგება. სახელმწიფო გაანაწილებს შრომასა და მოაწესრიგებს შრომის ნაყოფის გაყოფას. ეს იქნება თავისუფლების სამეფო. დღევანდელი ცხოვრება კი—აუცილებლობის სამეფოს წარმოადგენს.

აღარ იქნება ბრძოლა, არამედ მხოლოდ ძმობა, ერთობა და თანასწორობა. და სოციალური ბრძოლა დაუთმობს ადგილს სოციალურ ჯიბრს.

როგორი-ღაა ხსენებული მექანიკური პროცესი, რომელიც კაცობრიობას სოციალიზმისაკენ მიაქანებს? ერთი მხრით ულმობელი კაპიტალისტური ცილობის დროს თვით კაპიტალისტების უმეტესობა კოტრდება და საქარხნო მუშათა წრეს ამრავლებს, მეორე მხრით კაპიტალისტური წარმოება სპობს გლეხის ნატურალისტურს, დროგადასულ ოჯახსა და აპროლეტარებს გლეხთა უმეტესობას. ამგვარად საქარხნო მუშათა, ე. ი. პროლეტართა, რიცხვი თანდათან იზრდება, კერძო მესაკუთრეთა რიცხვი კი უფრო-და-უფრო კლებულობს, ე. ი. კაპიტალისტური წესწყობილება თვითონვე სპობს საკუთარსავე საფუძველს, ე. ი. კერძო საკუთრებას. დადგება ჟამი, როდესაც მთელი სიმდიდრე რამდენიმე კერძო მესაკუთრის ხელში იქნება თავმოყრილი. და მაშინ საზოგადოება მათ საზოგადო საკუთრებას ჩამოართმევს და თვითონვე დაეპატრონება.

როგორცა ჩანს, ეს პროცესი ბირწმინდა მექანიკურია. და მარქსის შეცდომა ის იყო, რომ პიროვნების სულისკვეთება, ნატვრა და იდეალი სავსებით დაუქვემდებარა ტლანქ მექანიკურ პროცესს, ე. ი. პიროვნების ისტორიული როლის დამოუკიდებელი ღირებულება უარჰყო.

მაგრამ ეს შეხედულობა ცალმხრივია და არ ეთანხმება დარვინის ბიოლოგიურ თეორიას. ორგანიზმი გარესკნელის ზეგავლენას სავსებით კი არ ემორჩილება, არამედ, როდესაც ეს გავლენა მავნებელია,—ეურჩება. მაგალითად ადამიანის წელებში ცხოვრობს ზოგიერთი მავნებელი, დამასნეულებელი ბაქტერია, მაგრამ, ვიდრე სხეული მთელია, ეურჩება ხსენებული მატერიების მავნებელ ზეგავლენას და მხოლოდ მაშინ სნეულდება, როდესაც წელების შინაგანი გარსის უჯრედებს რომელიმე მიზეზისა გამო თავდაცვის უნარი აკლიათ.

მაშასადამე პიროვნება უბრალო აყალმიწა კი არ არის, რომლისგანაც მექოთნე ჰქმნის, როგორც უნდა, ისეთ ჭურჭელს ამზადებს, არამედ მებრძოლი არსება არის რომელიც გარესკნელის მავნებელ ზეგავლენას ეურჩება და თავიდან იშორებს.

მარტო მექანიკური ან, უკეთ ვთქვათ, ალგებრიული გამოანგარიშება თუ ვინმეს მოეცა, ერთობ ადვილი სათქმელი იქნე

ვით საქმის გარემოება დაახლოებით ყოფილა: 5 თებერვალს ხაშურლები, ურჩევლად წოდებისა და სქესისა, შეგ- დნენ რკინის გზის ეკლესიასთან იმ ნით, რომ გადაეხადათ პარაკლისი არ- ს ადების გამო. აქ სხვათა შორის, ნენ ადგილობრივი სკოლების მოწაფე- თავიანთი მასწავლებლებით. პარაკ- ს შემდეგ ადგილობრივმა კომიტეტმა ვმა ჯერ მიულოცა! იქ მყოფ ჯა- კაცებს იმ გამარჯვებით, რომელიც რუშის აღებით დამთავრდა და მერე, ლიად უსაბუთოთ წარმოსთქვა საზო- ოების მიმართ არა საკადრისი სიტყვე- მან შეურაცყოფა მიაყენა მთელ ქარ- ლობას.

— თქვენ, მოუბრუნდა პოლკოვნიკ- ფეებს, რა გინდათ, რომ აქ მოსულ თ? თქვენ ხომ არც ღმერთი გწამთ არც მეფე... რწმენა არ გაქვთ... ამას გასწავლიან თქვენი უფროსები: ლაში—მასწავლებლები, ოჯახში კი თ მშობლები... რუსის სალდათი ათა- ვერსის მანძილიდან მოდის აქ თქვე- ცავად, თუმცა ამის ღირსნი არა თ... განა თქვენთვის სულ ერთი არ ს, ვის მფლობელობის ქვეშ იქნებით რუსეთისა თუ ოსმალეთისაო" და სხ. —ამაზე ერთ-ერთი სკოლის გამგემ იქ- გასცა ღირსეული პასუხი და ამის შემ- აღელვებული საზოგადოება დაიშალა. ს ფაქტი მეტად საწუხაროა და მისი ურადღებოდ დატოვება დიდი დანაშა- ი იქნება ჩვენის მხრით.

ნეტა ვინ მისცა ბ. კამენდანტს ი კილოთი ლაპარაკის უფლება? ან თი რა ჩავიდინეთ ჩვენ, ქართველმა, მ ღირსნი გავხდეთ საჯაროთ გაკიცხ ს? ასეთ დროს, რაც ბრძოლის ველზე თველობა თავგანწირვით და მამაცრად ძვის, რაც თვით ციხე არზრუმის აღე- ს დროსაც კი მრავალი ქართველთა ხლი დაიღვრა, ნუ თუ ასეთ დროს, ნ, ამ სახელოვან მეომართა ძმებს შეუ- ცყოფელ სიტყვებით უნდა გვიხსენიებ- ნ? სად არის ბატონებო სამართალი? მთავრობის წარმომადგენელი ზნეობრი- მტკიცე იყო, გაემხნევებია საზოგადოე- ა, მას უნდა ნუგეში ეცა ხალხისთვის, ლზე ცრემლები შეეშრო და მით და- წყებინა ის მწუხარება, რომლითაც ხალხმა რუსმა, ქართველმა და სხვამ—აიტანა ძეთა სამუდამოთ დაკარგვით.

ნ კი რას ვხედავთ? რა გვესმის!.. განა ახლანდელ პირობებში, როცა ლი რუსეთი მთელის განახლებულ ხვრებას და გამარჯვებას, ასეთ ფაქ- ს, როგორიც მოხდა ხაშურში, ადგი- უნდა ჰქონდეს?

ს არ ახსოვს ის დრო, როცა საქართველოს ერთ ერთმა მწყემსმა მთავარმა თითქმის ისეთივე შეურაცყოფა მიაყენა მთელ ხალხს? ნუ თუ დაგვავიწყდა ის, მისმა საქციელმა აღელვა მთელი რუსეთი და არა მარტო ქართველობა?..

ღრმად გვწამს, რომ საქციელი იმ ვაჟბატონებისა, რომელიც ჩვენ ხალხში იწვევს სიძულვილს და აღელვებას, არ იქნება უყურადღებოთ დატოვებული უმაღლეს მთავრობისაგან.

ჩვენ მოვითხოვთ ამ საქმის სასტიკ გამოძიებას.

მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ქუთაისის და თბილისის გუბერნიის მარშლები ამ ზემოთ აღნიშნულ სამწუხარო ინციდენტს დაწვრილებით მოახსენებენ, სადაც ჯერ არს.

დროა, სამუდამოთ მოეღოს ბოლო ასეთ დაუმსახურებელ მოპყრობას ჩვენდამი!

ისკანდერ გარ.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქირმანშახის აღება.

12 თებერვალს, რუსის ჯარმა აიღო ქალაქი ქირმანშახი. გერმანიის ყოფილ სამხედრო აგენტმა ჟანდარმერიის სარდალმა მუჯახანმა ქირმანშახის აღების დროს თავი მოიკლა.

◆ **დღეს ჩვენს დიდა ქალაქ თბილისში.** დიდი ზეიმით იდღესასწაულებენ ჩვენი სახელოვანი მგოსნის, შიო მღვიმელის 30 წლის იუბილეს. ამ მოკლე ხანში ქ. ქუთაისშიც აპირობენ მგოსნის 30 წლის იუბილეს გამართვას და იმედია ქუთაისის საზოგადოება ღირსეულათ დააფასებს ღირსეული მგოსნის ღვაწლს.

დღეს 14 თებერვალს დილის 12 საათზე, ქუთაისის ქართულ თეატრში სახ. უნივერსიტეტის გამგეობა მართავს ფრიად საყურადღებო ლექციას შემდეგის პროგრამით: აკ. ფილევს ლექცია „საქართველოს კულტურა მე 12 ს-ში". ორ ნაწილად. 1) საქართველოს ძლიერება დავით კუროპალატის დროს. 2) ქართლის მეფე ბაგრატი, როგორც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შემაერთებელი 3). არაბებთან და სხვა მაჰმადიან ხალხთან ბრძოლა. 4) დავით აღმაშენებელი და ჩვენი კულტურის თანდათანობითი წინსვლა 5) მეფე გიორგი, თამარის მამა, როგორც უზურპატორი. 6) თამარ მეფე და მისი დახასიათება. 7) საქართველოს სიძლიერე მის დროს. 8) თამარ მეფის მნიშვნელობა. რაც შეეხება ბ. ალ. გარსევანიშვილის ლექციას, იქ იქნება დახასიათებული გიორგი XII და დავით ბატონიშვილის შორის ურთიერთობა.

◆ დღეს, სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდება ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება, რომელზედაც უნდა გამონახონ თანხა, რომლის პროცენტითაც შეინახვენ დეპუტატთა საკრებულოს.

◆ **ქუთაისის ფქვილის მოვაჭრის მიხეილ აბრ. მოშიაშვილის გადასახლება.** კავკასიის მეფის მოადგილის განკარგულებით, მეფის მოადგილის სავალდებულო დადგენილების მე-19-ტე მუხლის ძალით. ქუთაისის ფქვილის მოვაჭრე მ. ა. მოშიაშვილი გადაასახლეს სამხედრო წესების მოხსნამდი კავკასიის საზღვრებიდან, ფქვილზე ხელოვნურად ფასის მომატების გამო დრო არის ჩვენი ჩარჩი ვაჭრები გონს მოვიდენ.

◆ გუშინ, 13 თებერვალს, ქუთაისის თავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადაიხადეს ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლის იასონ დავითისძის გელოვანის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდს დაესწრო ქუთაისში მყოფი ლეჩხუმის საზოგადოება, ქუთაისის თავად აზნაურობა და სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენლები.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრი, რომელიც განაგებს ომში გაწვეულ მეომართა ოჯახებისთვის სახაზინო დახმარების დარიგებას, ამით აცხადებს, რომ „პაიკის" დარიგება მოხდება 14 თებერვლიდან ორი კვირის განმავლობაში, დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდი ქალაქის გამგეობის დარბაზში. დასარიგებელია სულ 15 ათას ორას ჩვიდმეტი მანეთი და 62 კაპ.

◆ ორშაბათს, 15 თებერვალს, საქალაქო საქმეთა საკრებულოს დარბაზში მოხდება ამავე საკრებულოს წევრთა კრება, კრება გაარჩევს შემდეგ საკითხებს: ა) გარჩევა და დამტკიცება ქალაქ ფოთის 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა. ბ.) ქალაქ ფოთის საბჭოს დადგენილება, რომ ქალაქის ტრამვაის მოიჯარადრეს ფულის ნაცვლათ, სათავდებო მოწმობა მიიღონ. და გ) ქ. ფოთის საბჭოს დადგენილება, გაიცეს იჯარით მომხმარებელი საზოგადოება „ეკონომიაზე" ორი დუქანი და ერთი ფურნე.

◆ ს. მუხიანი. კვირას, 21 თებერვალს, დანიშნულია წლიური კრება მიუხიანის უფასო აკაკის სახელობის სამკითხველოს დამფუძნებელ წევრთა. სთხოვენ პატივცემულ წევრებს და მუხიანის რაიონის საზოგადოებას მობრძანდენ საათის 12-ზე და კრებას დაესწრონ.

◆ საქველმოქმედო საზოგადოებამ დაადგინა მისცეს დახმარება ასი მანეთით; აბაშელს, ევდოშვილს და შალიკაშვილს.

◆ 10 თებერვალს ქუთაისის საზოგადოებამ მიწას მიაბარა ქალაქის ხმოსანი იაკობ გიორგისძე ჩიმაკაძე. იგი ცნობილი იყო, როგორც პატიოსანი მუშაკი ჩვენი კულტურულ დაწესებულებისა, განსვენებულის დაკრძალვას დაესწრო საბჭოს მთელი შემადგენლობა და დაწესებულებათა წარმომადგენლნი.

◆ საბოლოოთ გამოირკვა, რომ ქუთაისში ქალაქთა კავშირის ლაზარეთები აღარ გაიხსნება, რადგანაც ამისთვის შენობა თვით თბილისში გამოუნახავთ.

◆ სანოვაგის ფასები ქუთაისში კიდევ დღითი-დღე მატულობს. შაქარზე დაადგინეს ხუთი შაური, პურზე კი 21 კაპ. მიუხედავათ ასეთი აწეული ფასისა ზოგიერთი ვაჭრები კმაყოფილი კიდევ არ არიან და სანოვაგეს ნიხრს ზევით ჰყიდიან.

◆ რედაქციამ მიიღო იანვრის ნუმრები საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულისა" (მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის). ნუმრები შინაარსიანი და ჩინებულათ შედგენილნი არიან.

◆ დღეს, 14 თებერვალს, დილის 12 საათზე, ლენერის ქუჩაზე, ქალთა ორკლასიანი სასწავლებლის დარბაზში, დანიშნულია შიო მღვიმელის სადღესასწაულო დილის მომწყობი კამისიის მიერ რეპეტიცია. უნდა დაესწრონ მოსწავლეთა წარმომადგენლები იმ სასწავლებლებისა, საიდანაც გასულ კვირას, 7 თებერვალს რეპეტიციას არ დასწრებიან.

✡ „ლურსმნისეულ" მოედნზე ვაჟა-ფშაველას სახელობის სამკითხველოს გახსნის შესახებ მოქმედობა შეჩერებულია საამშენებლო კამისიის დაუდევრობით, რომელმაც იკისრა სამი თვის განმავლობაში საკუთარი ბინის აგება. მაგრამ აგერ მეორე ოვე გადის და საძირკველიც არა სჩანს ჯერ. შეიძლებოდა შენობის აგებამდი ოთახი დაექირავებიათ და ჟურნალ-გაზეთები დაეწყოთ შიგ, რადგან სამკითხველო ამისთანა დროს სჭირია ხალხს.

◆ ალ. ყაზბეგის რომანი მოძღვარი გადმოკეთებით პიესად და ახლო მომავალში განზრახვა აქვთ დასდგან ქუთაისის სცენაზე.

◆ ქუთაისის ქალაქის სავადმყოფოს ყოფილი ექიმი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ნემსაძე, რომელიც ბრძოლის ველზე იმყოფება, ამ ჟამად შავი სახადით მძიმე ავად ყოფილა.

— კულაში (ქუთ. მაზ.) მცხოვრებმა თავად-აზნაურებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება მისცენ გახსნან მომხმარებელი საზოგადოება „შეღავათი".

სათეატრო ქრონიკა.

დღეს, კვირას 14 თებერვალს ქალაქის თეატრში მეორე და უკანასკნელი გასტროლი დამსახურებულ და [illegible] ხიობი ქალის ნინო ჩხეიძ [illegible] ნილი იქნება სუმბათაშვილის ისტორიული პიესა „ღალატი". ნინო ჩხეიძე შეასრულებს „ზეინაბის" როლს, რომელიც მსახიობ ქალის რეპერტუარში ერთ საუკეთესო როლად ითვლება და რომლის ასრულებაში ბადალი არ ჰყავს.

თბილისი.

— თათბირი სასახლეში. გუშინ 11 თებერვალს დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი პირველ საჭიროებათა სანოვაგის შემოტანის შესახებ. თათბირში მონაწილეობა მიიღეს მეფის ნაცვლის სამხედრო ნაწილის თანაშემწემ გენ.-ლ. იანუშკევიჩმა, სამოქალაქო ნაწილის—თ-დ ორლოვმა, მიწათ მოქმედების დეპარტამენტის რწმუნებულმა შაშკოვსკიმ და სამხედრო მიმოსვლათა უფროსმა გენ.-ლეიტენანტმა კარპოვმა. მეფის ნაცვლის ბრძანებით ეხლავე უნდა მიღებულ იქმნეს სწრაფი ზომები სანოვაგის შემოტანის საქმის დონეზე დასაყენებლად. სხვათა შორის დადგენილ იქმნა 30 ვაგონის მაგიერ 40 ვაგონი დაინიშნოს ამიერ კავკასიის გზებზე განსაკუთრებით სანოვაგისთვის და სანოვაგის გამოზიდვა ფოთიდან ძლიერ დაჩქარდეს.

— ტყვედ წაყვანილთა მზრუნველ კომიტეტმა დაადგინა, გაეგზავნოს ჰაკის კომიტეტს 1600 მანეთი და ლიონისას 1000 მანეთი რუსეთის ქვეშევრდომ ტყვეების დასახმარებლად. აგრეთვე უგზავნის თბილისიდან ხორბალს, ლობიოს, ყველს და ხმელს თევზს.

— საბლაღოჩინო კრება. საქართველოს არქიელის პლატონის განკარგულებით ამ ძოკლე ხანში მოწვეულ იქნება მთელი საეგზარხოსოს ბლაღოჩინების კრება სხვა და სხვა საეპარქიო საჭირბოროტო საკითხთა განსახილველად.

— ქართული ლექციები. წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ-გამგეობასთან არსებულმა ლექციების მმართველმა სექციამ გადასწყვიტა მოაწყოს ავჭალის აუდიტორიაში ლექციები საქართველოს ისტორიიდან. ჯერ-ჯერობით მიწვეულია ლექციების წასაკითხავად კრ. სტინე (ჩიტო) შარაძე. პირველი ლექცია გაიმართება 22 თებერვალს.

— ელისაბედ (ლიზა) ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ დღესასწაულს 2 ამა თვეს შემოსავლის მხრივაც ჩინებულად ჩაუვლია. დღესასწაულის მომწყობ კომიტეტის ხაზინადარმა ბ-ნმა შიხიაოვმა წარმოადგინა წმინდა შემოსავალი და საჩუქრების სახით შემოსული ფული, სულ 2,500 მანეთი, ჩააბარა ქ-ნს ჩერქეზიშვილს.

— შიო მღვიმელისათვის საჩუქრის სახით მისართმევად ხვალ, 14 ამა თვეს, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, როგორც ამბობენ, გადაუდვია 100 მან.

— დიდი თოვლი. თბილისში და მის ახლო მახლო დიდი თოვლი მოვიდა. თბილისში თოვლმა ტელეფონის მავთულები ბევრ ალაგას ჩამოსწყვიტა სიმძიმისაგან და ბოძები წააქცია. მავთულების ელექტრონმა კიროჩნი ქუჩაზე ერთი ცხენი მოჰკლა.

თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის განკარგულებით 300 მანეთი გადიდო ტელეფონის მოძრაობის აღსადგენად.

ქართველ ახალგაზდობას.

მალე ორი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც უსაშინელესი სისხლის ღვრა დაიწყო. ამ საერთაშორისო სისხლის ღვრაში მონაწილე არის ჩვენი პატარა სამშობლოც, მან ბრძოლის ველზე საკმაო მსხვერპლი გაიღო.

რუსეთის ომის ყველა აზვირთებულ ფრონტებზე ქართველებმა თავი ისახელეს და გულწრფელ ადამიანთაგან ყველგან ქება და მადლობა დაიმსახურეს, მაგრამ ეს არ არის ჩვენი სამშობლოს ტკივილების გამკურნებელი.

ქართველ ახალგაზდობას დღეს ჰმართებს სულ სხვა გვარი დაკვირვება და სულ სხვა გვარად მოქმედება.

უპირველეს ყოვლისა ჩვენ უწმინდეს მოვალეობად უნდა დავისახოთ სამშობლოს საშველად ზრუნვა და მისი არსებობა—თავმოყვარეობის დაცვა.

ნუ მივსდევთ ჩვენ, ახალგაზდების აკვნიდანვე დაქსაქსვას, თორემ სინამდვილე დაგვიმტკიცებს, რომ განკალკევებით და

წვრილი კაპიტალისტები და გლეხები ლეტარდებიანო. მართლაც, უბრალო ებრაული პროპორცია ადვილად და- რწმუნებს, მილიონის პატრონმა რომ და გააკოტროს მეწვრილმანე და დიდმა მულემ გლეხი.

მაგრამ ცხოვრების რთულ მოვლენათ რტო ალგებრაული პროპორციის შემ- ობით ვერ გავიგებთ და ვერ ავხსნით რებს, ამისთვის სხვა მეთოდიც უნდა ვიშველიოთ.

ველოთ მაგალითი თუნდ უმდაბლეს ცხოველ არსებათა ცხოვრებიდან. გაშ- ობა ჩვეულებრივ ჰკლავს ბაქტერიებს. გრამ ზოგიერთი ბაქტერია მით ეურჩება ვნელის ამგვარ მავნებელ ზეგავლე- ს რომ ხეჭურს იკეთებს და ამგვარად იფა- ვს თავს სიკვდილისაგან. და, როდესაც ხეჭურიანი ბაქტერია (სპორა) პოუ- ობს შესაფერ პირობებს, კვლავ იზრდე- და მრავლობს.

და, თუ ხსენებულს უმდაბლეს არსე- ბაც კი მოეპოებათ გარესკნელთან ბრძო- ლისა და შეგუების უნარი, ნუ თუ ადა- ანს უნდა აკლდეს ეს საერთო ბიოლო- ური თვისება?

რასაკვირველია, არა. და, ცხადია, რო- რც წვრილი კაპიტალისტები, აგრეთ- გლეხები საშინლად ეურჩებიან იმ პი- ობებს, რომელნიც მათს გაპროლეტარე- ს ხელს უწყობენ.

წვრილმა კაპიტალისტებმა იმდენი მოხ- ედებითი ენერგია განავითარეს, ისე გა- ჯობესეს თავისი წვრილი წარმოებისა ვაჭრობის წესი, რომ ახალს, კაპიტა- ისტურ წესწყობილებას მშვენიერად შე- ეგუვნენ და შეეწყვნენ. და, როგორც როპოტკინი აღნიშნავს, პატარა ქარხნებ- დიდი შემოქმედებითი როლი აასრუ- ეს და მრავალი დიდმნიშვნელოვანი სა- ხნიკო აღმოჩენა წარმოშვეს.

მეორე მხრით წვრილმა მიწის მესაკუთრეებმა იმდენად აამაღლეს თავისი მეურნეობა, რომ ევროპაში რაცა ათი ქცევის პატრონი მილიონერი შეიქნა! მარქსის თეორიით კი ამგვარი მესაკუთრე ათიათასი ქცევის პატრონის გვერდით უთუოდ უნდა გაკოტრებულიყო! მარქსმა იმედით, სოციალიზმი მალე განხორციელდებაო, სინამდვილეს თვალი მოარიდა და მეცნიერული კვლევა-ძიების საშუალებად ალგებრაული მეთოდი იხმარა და მისი მოძღვრების შინაგანი წინააღმდეგობანი სწორედ აქედან იბადება. მას სურს, რომ გლეხნი და მეწვრილმანენი პროლეტარებად გადაიქცენ, რადგან მხოლოდ ამ მხრით მიაჩნია შესაძლებლად კერძო საკუთრების საბოლოო უარყოფა და წარმოების გაზოგადოება, ე. ი. კოლექტიური წარმოების განხორციელება. და მის მეცნიერულ კვლევა-ძიებას მისი სუბიექტიური ნატვრა უდევს საფუძვლად და არა ობიექტიური მეთოდი. მაშასადამე მისი ეგრეთწოდებული იმმანენტური ევოლუციონური კანონები კაპიტალისტური წესწყობილებისა სინამდვილიდან კი არა, მისი სუბიექტიური იდეალიდან გამომდინარეობს. ამგვარად მისი მოძღვრება იდეალისტურია და არა მატერიალისტური, როგორც თვითონ ფიქრობს.

ცხოვრება კი არ ემორჩილება ალგებრას, არამედ ალგებრა გამომდინარეობს ცხოვრებიდან. და, თუ პირიქით ალგებრა ადვიარეთ რთულ სოციალურ მოვლენათა კვლევა-ძიების მეთოდად, დაუსრულებელ ალგებრაულ წინააღმდეგობათა ქსელში გავიხლართებით.

და მარქსს სწორედ ამ პირობის აუსრულებლობამ შეუშალა ხელი, რომ მისი თეორიის უკიდურესი ცალმხრივობა დაენახა.

მართლაც! წარმოვიდგინოთ, რომ გლეხნი და მეწვრილმანენი უთუოდ უნდა გაკოტრდენ და გარდაიქცნენ პროლეტარებად. მერე სად მოიპოება იმდენი ქარხანა, რომ ამდენი პროლეტარი დაიტიოს? ქარხანათა რაოდენობა ხომ განსაზღვრულია და დამოკიდებულია, როგორც ბაზარზე, აგრეთვე ტეხნიკურ პირობებზე. და ნუ თუ საფიქრებელია, რომ ქარხანათა რიცხვი რამდენადაც პროლეტართა რაოდენობა, იმდენად გამრავლდება?!

კაპიტალიზმი რომ დედამიწის ყოველ კუთხეში არ შეჭრილიყო და მარტო ევროპაში განვითარებულიყო, მაშინ კიდევ ჰო, შესაძლებელი იქნებოდა წარმოდგენა, რომ ევროპის აყარებული გლეხი ოდესმე საქარხნო მუშებად გარდაიქმნება. მაგრამ სად, რომელ ბაზარზე უნდა გაასაღონ ის საქონელი, რომელსაც რუსის გაპროლეტარებული გლეხები ქარხნებში დაამზადებენ? და ჩინელმა და ინდოელმა გლეხებმაც თუ მიწის მუშაობას თავი დაანებეს და საქარხნო მუშებად გარდაიქმნენ, მაშინ ხომ ვარსკვლავებზედ-ღა დაგვჭირდება ბაზრების ძებნა?!

აი ის უდიდესი შინაგანი ალგებრაული წინააღმდეგობა, რომელიც გამომდინარეობს მარქსის ცალმხრივი, მარტო ალგებრაულ მეთოდზე დამყარებული თეორიიდან.

გვეტყვიან: გლეხები მაინც კოტრდებიანო. შესაძლებელია. მაგრამ, ჯერ ერთი, მარქსის თეორიის მიხედვით მარტო გაკოტრება არაა კმარა, საჭიროა კიდევ საქარხნო მუშად გარდაქცევა, რომ მუშამ სოციალიზმი აღიაროს. თვარა გლეხი, შეძლებულია თუ შეუძლებელი, მაინც გლეხია და მისი მსოფლმხედველობა არასოდეს სოციალისტური არ იქნება.

უკანასკნელ აზრს კი ჩვენც ვიზიარებთ. ღარიბი გლეხის ოჯახის წევრთა ნახევარი თავის ოჯახში მუშაობს. ზოგიერთი წევრი კი გარედ. გარედ გასული თავისი ნაშოვრის ნაწილს თავის ოჯახს სამეურნეო საჭიროებას ახმარს და შემოდგომის იმ დროს, როდესაც ბოლოსდაბოლოს ხეტიალს თავს დაანებებს და თავის საოჯახო კერას დაუბრუნდება. ამგვარად ღარიბი გლეხის მცირე მამული—აუცილებელი თავშესაფარია, რომელსაც მუშა დასასვენებლად და ავადმყოფობისა და სიბერის დროს მიაშურებს ხოლმე.

იქვე ცხოვრობს მუშის ცოლშვილი.

როგორი უნდა იყოს იმ მუშის ნატვრა, იდეალი, რომელსაც ამგვარი ოჯახები მოეპოვება?

მიზანი, რომლის განხორციელებაც მას ენატრება, ის არის, რომ თავისი მცირე მამული ოდნავ მაინც გააფართოოს და მეურნეობა მცირეოდნად მაინც გააუმჯობესოს. ერთი სიტყვით მისი იდეალი—კერძო საკუთრების შექმნაა და არა სოციალიზმი.

დიდი უმრავლესობის იდეალი—ასეთია.

მეორე მხრით, სტატისტიკამ ნათელ ჰყო, რომ თვით ინგლისშიაც კი, სადაც სხვადასხვა პირობისა გამო წვრილი მემამულე ცოტაა, კერძო მესაკუთრეთა საერთო რაოდენობა საქარხნო მუშათა რაოდენობას მაინც კიდევ ბევრით აღემატება.

ამგვარად ის აზრი, გლეხნი და მეწვრილმანენი გაპროლეტარდებიან, საქარხნო მუშებად გარდიქმნებიან და გასოციალისტდებიანო,—უტოპია არის, რომელიც ცხოვრების მეცნიერულმა შესწავლამ უკვე უკუაგდო და უარჰყო.

ვასილ წერეთელი.

ერთმანეთის სიძულვილით ვერცერთ სამოქმედო ასპარეზზე ვერას გავაკეთებთ. შევიკრიბოთ ერთად და ჯერ ნათლად წარმოვიდგინოთ ჩვენი სამშობლოს დღევანდელი მდგომარეობა, გავეცნოთ სოფელს, ხალხის გაჭირვებას და შემდგომ მოქმედებას შევუდგეთ.

ჩვენი სამოქმედო ასპარეზი მრავალფერია. მაგალითად ავიღოთ თუნდა გერმანიის ახალგაზრდობის მოქმედება ამ ომიანობის დროს.

ქალაქში მშრომელი და მოსწავლე დიდ კავშირს აბავენ ერთმანეთში მოცლილ დროს ერთად მეჯლიმებენ მეცადინეობენ, ისინი, ვინც არ იცნობენ თავის სამშობლო ქვეყნის ისტორია საჭიროებას მოწაფეთა შემწეობით საჩქაროდ ეცნობიან. კვირა უქმე დღეებში კითხულობენ თავის მწერლებს, თვალ-ყურს ადევნებენ ჟურნალ-გაზეთობას. ერთის სიტყვით, მცოდნენი უმეცრებს გვერდში ამოსდგომიან და ერთ წუთსაც მუქთად არა ჰკარგავენ.

ასე იქცევა მოსწავლე ახალგაზრდობა ქალაქად, ხოლო როცა სწავლა თავდება და მოწაფეებს დასასვენებლად ითხოვენ ხოლმე, ამ მოწაფეებს თავისი მოქმედება გადააქვთ სოფლად.

აქ თქვენ ხედავთ, რომ გერმანელი მოწაფე გვერდში ამოსდგომია მიწის მუშას, უამბობს ქვეყნის ვითარებას, ამხნევებს, ასწავლის, შველის მუშაობაში...

რასაკვირველია, ჩვენ ჯერ ვერ შევედრებით დიდათ განათლებულ ქვეყნების ახალგაზრდობას, მაგრამ არც ისეთი უცოდინარობა ვარგა, როგორსაც, ჩვენ ვიჩენთ. მათ მიბაძვით მაინც და პირველ ნაბიჯის გადასადგმელად ვიმოქმედოთ, თორემ თქვენ კარგად უწყით, რომ მარტო ცარიელი ლამაზი სიტყვებით ლაპარაკი და შუბლზე მიკრულ სასწავლებლის „კოკარდით" ამაყობა არაფერს მოგვიტანს არც ჩვენ და არც ჩვენ სამშობლოს. მაშ საჩქაროდ შევუდგეთ გამოფხიზლებას, რათა მით დავფაროთ უნაყოფოთ დაკარგული დრო და შევასრულოთ ჩვენი წმინდა მოვალეობა.

ირ—დი.

სახელმწიფო სათათბირო.

10 თებერვლის სხდომა.

(დასასრული).

მთავრობა სცდილობს ყოველ დღიური საკითხი ბიუროკრატიას გადააწყვეტინოს, რის წყალობითაც რამდენიმე თვით იგვიანებს ჯარისთვის საჭირო მასალის მიწოდება, უმიზნოდ იხარჯება ხალხის ფული და ქურდობა და მძარცველობა ვითარდება. და თუ ამ გამცფებულ ქაოსში, სუსტს კვლავ იმედი აქვს საბოლოო გამარჯვებისა, მხოლოდ იმისათვის, რომ დაობებულ ბიუროკრატიასთან ერთად ამოძრავებულია რუსეთის ცოცხალი საზოგადოებრივი ძალა. რუსეთი ეხლა დიად ისტორიულ ამბების წინაშე სდგას და მთავრობამ უნდა ძალლონე მოიკრიბოს, რომ გამოიყენოს საზოგადოებრივი ძალები, ამისთვის თვითონაც საზოგადოებრივობის სახე უნდა მიიღოს. უამისოდ ხალხის ძალღონის თავის მოყრა ვერ მოხერხდება და უარყოფითი მხარეებიც მით უმეტეს გაიზრდება, რაც უფრო ხანგრძლივ გასტანს ომი. (მარცხნივ ტაშის ცემა).

ეფრემოვის აზრით მთავრობის დეკლარაცია ვერ შეეფერება დღევანდელ ისტორიულ ხანას და გაურკვეველ დაპირებას წარმოადგენს. საჭიროა, ქვეყანაში მშვიდობიანობა იყოს დამყარებული და ხალხი მთავრობას ენდობოდეს. რაც უნდა ცვლილებანი მოხდეს მინისტრთა საბჭოში, უნაყოფო იქნება, სანამ მინისტრები არ იქნებიან დამოუკიდებელნი და ხალხის წინაშე პასუხის მგებელნი. (მარცხნივ და ცენტრის ნაწილში ტაშისცემაა).

11 თებერვლის სხდომა.

პროტოპოპოვი თავჯდომარეობს. მთავრობის განმარტების განხილვას განაგრძობენ.

კარაულოვი დამოუკიდებელ სახალხო ჯგუფის სახელით ლაპარაკობს. სახელმწიფოს აუცილებელ საქმეთა მოსაწესრიგებლად აუცილებლად სცნობს, სათათბიროს ხანგრძლივ მუშაობას, რადგანაც მთავრობის მოქმედება დაქსაქსულია, მინისტრები ჩრდილებივით იცვლებიან. საჭიროაპა სუხისმგებელი სამინისტრო, საჭიროა მართველ-გამგეობის შეცვლა, რადგანაც მხოლოდ თავისუფალ რუსეთს შეუძლიან გამარჯვება (ტაშის ცემა მარცხნივ).

გარუსხევიჩი პოლონელთა კოლოს სახელით ლაპარაკობს. ომის დაწყებიდანვე პოლონეთი თავის დამოუკიდებელ არსებობისათვის მებრძოლად გამოვიდა და ამ გზას პოლონელები არასდროს არ გადაუხვევენ. ეს არის საძირკველი დამოუკიდებელ პოლონეთის პოლიტიკური მიმართულებისა, ისტორიის მიერ დადასტურებული.

პოლონელებს სანანებლად რჩებათ, რომ მინისტრთა საბჭოს დეკლარაციით არ ისპობა პოლონელთა ყოველი ეროვნული და სარელიგიო შეზღუდვანი მთელს იმპერიაში.

თევკელევი მუსულმანთა სახელით აცხადებს: მუსულმანთა მდგომარეობა ომიანობის დროს უფრო გაუარესდა. მუსულმანები პროგრესიულ ბლოკის მოთხოვნილებას ეხრობიან და მოითხოვენ გაუქმდეს ყოველგვარი ეროვნული და სარწმუნოებრივი შეზღუდვანი, სარწმუნოების გამოცვლა არ იდევნებოდეს და სათათბიროს არჩევნების წესი შეიცვალოს.

ფრიდმანი ებრაელების სახელით მოითხოვს, რომ ებრაელების დევნას ბოლო მოეღოს.

პაპაჯანოვი აცხადებს: სომხები მუდამ მზად არიან მსხვერპლად შეეწირონ რუსეთის კეთილდღეობას. სომხებს, არზრუმის დაცემის შემდეგ, სწამთ, რომ რუსეთის არწივის მფარველობით კვლავ აღსდგება სომხეთის ეროვნული ცხოვრება თავისს ძველს ფარგლებში—ოსმალეთის სომხეთში, სადაც ყოველი მტკაველი მიწა მათი სისხლითაა მორწყული და სადაც ყოველი ქვა ღაღადებს მათის უმაღლეს კულტურულს წარსულს (ტაშის ცემა).

ზალიტი ლატიშების სახელით ლაპარაკობს. ბალტიის მხარეში საჭიროა დაუყონებლივ შემოვიღოთ ერობა, საჭიროა ხაზინამ აუნაზღაუროს ხალხს ომისაგან მიყენებული ზარალი. სასურველია, რომ მთავრობამ თავისი სიტყვა საქმედ აქციოს.

კამალევსკი ეჭვის თვალით უცქერის მინისტრების მიერ დასურათებულ საგარეო პოლიტიკას. მხოლოდ რუმინეთთან და საბერძნეთთან შეთანხმებით გარიგდება რამე ბალკანეთში. მსოფლიო ომში პატარა სახელმწიფოებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. შვეციასა და ესპანიას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. პოლონეთისა და სომხების შესახებ კაველევსკი იზიარებს გარუსევიჩისა და პაპაჯანოვის აზრს.

ჩხენკელი ასწერს ბათომისა და ყარსის ოლქში მომხდარ ამბებს და აღნიშნავს, რომ აჭარლები ძალით აჰყარეს და გაადევნეს ოსმალეთში. მათი კარ-მიდამო გადაბუგეს, ავლა-დიდება დაიტაცეს. ამ ამბავმა გულის სიღრმემდე ააშფოთა მთელი ქართველი ერი, ეს ამბები თავის დროზე ვაცნობე ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენლებს, სათათბიროს ფრაქციას და გაზეთებს. ჩხენკელი ბოლოს კითხულობს ს.-დემ. ფრაქციის განცხადებას, თანამედროვე მდგომარეობის გამო და დღევანდელი მთავრობის შესახებ,

კითხულობენ კავკასის ჯარის მთავარსარდლის მისალმების დეპეშას რომელსაც მთელი სათათბირო „ურას" ძახილით და ტაშის ცემით შეეგება.

შემდეგი სხდომა ხვალ მოხდება.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პარიზი. 10 თებერვალი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგეთში ფრანგების არტილერიამ რამდენიმე ადგილას შეარღვია გერმანელთა სანგრები, რომელიც სტენსტრატის პირდაპირ იყო გამართული. მდ. ენის ჩრდილოეთით ფრანგების ბატარეებმა კოლერის გზაზე გაანადგურეს გერმანელთა ბატარეები ვერდენის რაიონში გერმანელთა იერიში თანდათან ვითარდება. იგი, როგორც ფრანგები მოელოდენ, დიდი ბრძოლას დღეს ბრძოლა გაგრძელდა მომატებულის სიფიცხით და სიმკაცრით. ფრანგის ჯარები ენერგიულად იბრძოდენ და მოპირდაპირეს დიდ ზარალს აძლევდენ. დიდი ყალიბის ზარბაზანთა განუწყვეტელი სროლა, რომლის დროსაც ფრანგების არტილერია თანასწორის სიმკაცრით უპასუხებდა მოპირდაპირეს, ბრძოლის პირს ორმოცი კილომეტრის სიგრძეზე მოედო, ე. ი. ეს უღონობელი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს მელენკურსა და მდ. ენაზე მდებარე ადგილ შორის. ბრაბანტიოუმეზსა და ორნან შორის მთელი დღის განმავლობაში გერმანელთა მეტ რიცხოვან ქვეითა ჯარს ფრანგებზე იერიში იერიშზე მიჰქონდათ.

გერმანელთა ეს მოიერიშე ჯარი შვიდი სხვა და სხვა კორპუსის ჯარისკაცებისაგან შესდგებოდა. მიუხედავად ყოველ ღონისძიებისა სოფელ გომონთან გერმანელებმა ფრანგები თავიანთი თხრილებიდან ვერ ამორეკეს. ფრანგებმა თავიანთი კონტრიერიშებით შეაჩერეს გერმანელთა შემოტევა კორის ტყეში, რომლის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ფრანგების ხელშია. კორის ტყის აღმოსავლეთით რამდენიმე საშინელი იერიშის შემდეგ, რომელმაც აუარებელი მსხვერპლი შეიწირა, გერმანელები შეიჭრენ ვოვრილის ტყეში. ორნის ჩრდილოეთით გერმანელთა იერიშები ფრანგებმა შეაჩერეს. მაასის მარცხენა ნაპირზე ქვეითა ჯარებს შეტაკება არ მოსვლიათ. არც ორნსა და ფრომეზს შუა მომხდარა ქვეითა ჯარების შეტაკება. ელზასში გუშინ საღამოს გერმანელებმა იერიში მიიტანეს ფრანგების პოზიციებზე კარსპაკის ტყის სამხრეთ აღმოსავლეთით და ალტკირხეს სამხრეთ დასავლეთით და ალტკირხეს სამხრეთ დასავლეთით. კონტრ-იერიშების წყალობით ფრანგებმა უკან დაიბრუნეს იმ სანგრების მეტი წილი, რომელიც წინა დღეებში გერმანელებმა დაიჭირეს.

ლონდონი. 10 თებერვალი. საფრანგეთში მომქმედი ინგლისელთა ჯარის მთავარი სადგომი. ლაბასეს არხის მიდამოებში საარტილერიო სროლაა. იპრის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ბატარეებმა საკმაო ზიანი მიაყენეს მტრის პოზიციებს. ჩვენ მარცხენა ფრთაზე გავფანტეთ მტრის მუშები. აფეთქებულ ადგილის ხელში ჩასაგდებად მოსული გერმანელები გავფანტეთ ყუმბარებით.

ლონდონი. 10 თებერვალი თემთა პალატა. ბალფურმა განაცხადა, ხმელთა შუა ზღვაზე მომქმედ ფლოტის უფროსად დაინიშნა ფრანგი ადმირალი ფურნიე. ჰერცოგი აბრუცისა ადრიატიკის ზღვაზე ხელმძღვანელობს საზღვაო მოქმედებას, თუ რამდენად მარჯვედ მიჰყავთ საქმე, ეს იქიდანაც სჩანს, რომ დღემდი არ შეუწყვეტიათ ჯარების გადაყვანა სალონიკში.

ათინა. 10 თებერვალი. როგორც ცნობები მოდის, მარტის რიცხვებში კრონპრინცი მოვა სოფიაში, და სტამბოლში მისი მოსვლა იმაში მდგომარეობს, რომ ორივე სახელმწიფო აიძულოს ბალკანეთზე განაახლონ მოქმედება.

სევასტოპოლი. 10 თებერვალი. რუსთა გემები ჩინებულად ასრულებენ თავიანთ მონდობილებას ზღვის ნაპირებზე. [illegible] იღებენ ნიშანში ოსმალთა პოზიციებს და მით საშუალებას აძლევენ ხმელეთით ქვეითა ჯარს წინ წასასვლელად.

პარიზი. 10 თებერვალი. საგანგებო კომისიამ განიხილა ინგლისისა და საფრანგეთის საფინანსო მდგომარეობა. ევლინ სესილმა და ქენვიერერ-დელცემა დაწვრილებით მოახსენეს ცნობები სხენებულ სახელმწიფოთა ფინანსების შესახებ, თუ ომში რამდენი ხარჯი მიდის, ან რამდენი უნდა ჰქონდეთ მომავალში.

სოლუნი. 9 თებერვალი. ყველანი ჰფიქრობენ, რომ ინგლისელები და ფრანგები გაზაფხულზე შეუტევენ ბულგარელებს და კრიტიკულს მდგომარეობაში ჩააგდებენო. გერმანელთადმი ნდობა ქარწყლდება, ძველებური სიხარულით არ'ვეღა ბზიან მათ.

პროვინციის ცხოვრება.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

ს. რგანი. (შორ. მაზ). სიმშილმა აქაც იჩინა თავი. მუშა ხელის შემცირებამ და მარგანეცის მუშაობის შეწყვეტამ გამოიწვია ხალხის ნივთიერად დაქვეითება. ეხლახან რგანის საზოგადოებაში უკვე აკრიბეს სახელმწიფო და სასოფლო სხვადასხვა გვარი გადასახადები. აგრეთვე ხაზინიდან ნასესხები სიმინდის ფულიც.

მცხოვრებნი იძულებულნი შეიქნენ გაეყიდათ ხარი, ძროხა და სხვ. რომ, როგორმე თავიდან მოეშორებიათ ათასგვარი მოთხოვნილებანი. ზოგიერთ მცხოვრებს გადასახადი 40—50 მანეთამდე მოუწია. ხალხი დიდ განსაცდელშია. ხსნას კი არსაიდან არ ელის.

ხსენებულ სოფელში არსებობს, ორ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, და კოოპერატიული საზოგადოება „სინათლე", მაგრამ ეს უკანასკნელიც ვერ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას', თუმცა ცოტად თუ ბევრად ხელი შეუშალა ჩარჩ-ვაჭრებს ბოროტმოქმედობას ხალხში.

——

სოფ. ძიმითი. (გურია). სოფ. ძიმითის მცხოვრებნიც არ არიან სანუგეშო მდგომარეობაში აქეთაც სიმშილობაა.

——

სოფ. ნანეიშვილისხევი. (გურია) ამ სოფელში სანოვაგის სიძვირემ [illegible] ხელნაკლებობამ უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა ადგილობრივი მცხოვრებნი. ომში გაწვეულ ოჯახებში სიმშილი მძვინვარებს მდგომარეობა სერიოზულია.

——

სოფ. ბუკნარი. ხსენებულ სოფელში ამ დღეებში გაიხსნა წიგნ-საცავ-სამკითხველო, ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება ამ კულტურულ დაწესებულების დაარსებას. დამფუძნებელმა კრებამ აირჩია 3 კაცი. გამგეობა შეუდგა სამკითხველოს კეთილდღეობისთვის ზრუნვას.

——

დ. ჭიათურა. 19 იანვარს დ. ჭიათურაში მოხდა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მოსამსახურეთა საგანგებო კრება.

კრების მოწვევა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ეს ერთი ხანია მოსამსახურეთა უმრავლესობას აეკრძალათ კასიდან სესხის გატანა. როგორც გამოირკვა, ომის დაწყების შემდეგ მოსამსახურეების დანატოვები 5 და 10 პროც. კასისთვის არ გადაუციათ. ამის შესახებ კრებაზე დაადგინეს შემდეგი: ცხოვრების გაძვირების გამო, იმ ჯამაგირებით რომელსაც დღეს მოსამსახურეები ღებულობენ ნახევრადაც ვერ იკმაყოფილებენ ათასგვარ მოთხოვნილებას, ამისთვის მოეთხოვოს მრეწ. საბჭოს მოსამსახურეების დანატოვები 5 და 10 პროც. გადასახადის კასის, რათა მიეცეთ საშუალება [illegible] სესხის გატანისა.

——

დ. კარაკლისი. (ერევ. გუბერ.) მცხოვრებთა უმრავლესობა სიმშილს განიცდის სანოვაგე საგრძნობლად გაძვირდა.

——

აბაშის საზოგადოება. (სენ. მაზ.) აბაშის საზოგადოების სასოფლო ადმინისტრაციამ იანვრის პირველ რიცხვებში, უკვე მიიღო, ხალხის მიერ არჩეული სასურსათო კომისიის შედგენილი დამშეულთა ოჯახების სია, რაც კაი ხანია წარედგინა უმ დღეს მთავრობას.

რედაქტორ-გამომც. **ი. ცინცაძე.**

რკინის გზის მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან — დილის — 5 ს. 50 წ.
„ — საღამ. — 6 ს. 57 წ.
ბათომიდან — დილით — 1 ს. 25 წ.
„ — ღამის — 2 ს. 23 წ.
ფოთიდან — დილის — 10 ს. 8 წ.
ტყიბულიდან — საღამოს — 7 ს. 39 წ.
შორაპნიდან — დილის — 9 ს. 18 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ — დილის — 11 ს. 55 წ.
„ — ღამის — 1 ს. 7 წ.
ბათომისაკენ — დილით — 5 ს. 30 —
„ — დილის — 4 ს. 27 წ.
ფოთისკენ — დილით — 4 ს. 27 წ.
ტყიბულისკენ — დილის — 6 ს. 20 წ.
შორაპნისაკენ — დილით. — 5 ს. — —

15 თებერვლიდან ქუთაისში გამოვა ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი
„ახალი კვალი"
გაზეთის ფასი:
ერთი წლით—2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. 50 კ., ერთი თვით ქუთაისში—20 კ. ცალკე ნომერი ერთი შაური.
რედაქციის დროებითი ადრესი: Кутаисъ. Типографія Перадзе и Карнаухова для „АХАЛИ КВАЛИ".
ფულის გამოსაგზავნი: **Кутаисъ. Тутку Гварамія.**
35

ქუთაისი.
ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში
(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).
მიღებულია ვენახის ასაპრავი საუკეთესო
ქ ი ლ ი. იქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეო საქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერია.

საღი კუჭი!
ქელაბარი ექ. ვეზისა.
ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაბზობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.
ქრონიკული ყაბზობა წყაროა მთელი წყება კუჭ ნაწლევების მოშლისა, პირის ღებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას.
ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.
პრეპარატი **ქელაბარი** ექ. ვეზისა გვიჩვენებს ჩვენ ახალსა და უტყუარ რადიკალურ გზას ყაბზობისა და მის მწვავე შედეგებისაგან გასაკურნავათ.
ქელაბარი ექ. ვეზისა აძარწყლებს კალაგვის მასსას, ახალებს ნაწლევებს, აშორებს უძლებობას და აჩვევს მათ ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ქვალს, ნაწლევების კატარს, შიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგან.
ქელაბარი სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისათვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჩვილ ავათმყოფებისაგანაც კი.
პრეპარატ **ქელაბარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.
დაწვრილებით **ბროშურა** კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება **უფასოთ.**
ნამდვილი ქელაბარი ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში" და ქ. ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** საფთიაქო მაღაზიაში.
გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.
ქელაბარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კ.

[illegible] სტამბა [illegible] — ქუთაისში
ნებადართულია სამხედრო ცენზურისგან.